განმცხადებელი : იოსებ ხახალეიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი
თარიღი **:** 11-04-2022

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება "აი, ფაქტი"

სადავო მასალა : რამდენიმე მედიასაშუალებაში ("აი ფაქტი", info imereti და Mega TV) გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც „ქუთაისის მერიამ სამ თვეში რესტორნებში 27 ათასი ლარი დახარჯა". სტატია შეიცავს მცდარ, დაუზუსტებელ ინფორმაციას. წერილში მოყვანილი ხელშეკრულებებიდან, ფაქტიური ხარჯი, დღეის მდგომარეობით, შეადგენს 13 440 ლარს, მათ შორის: 5922 ლარი წარმოადგენს ქორქია-საკანდელიძის საკალათბურთო ტურნირის ჩასატარებლად გაწეულ ხარჯს, ხოლო 3800 ლარი დაიხარჯა ყოველთვიური მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენების ფარგლებში მოწვეული სტუმრების გამასპინძლებისთის ქუთაისის მერიის მისამართით დაუსაბუთებელი ბრალდება, არასწორი ინფორმაცია პირველად გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება "აი, ფაქტი"-ის მიერ იქნა გავრცელებული 2022 წლის 6 აპრილს

2022 წლის 6 აპრილს გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება "აი, ფაქტი"-ის მიერ გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც „ქუთაისის მერიამ სამ თვეში რესტორნებში 27 ათასი ლარი დახარჯა". აღნიშნული ინფორმაცია შემდეგ სხვა მედია-საშუალებებმაც (info imereti და Mega TV) აიტაცა. მოგვიანებით "აი ფაქტი"-მ გაასწორა ინფორმაცია და მიუთითა, რომ "მუნიციპალიტეტებს შორის კვებაზე ყველაზე მეტი თანხა, 27 ათასი ლარი გამოყო ქუთაისის მერიამ". თუმცა იქვე გამოაქვეყნა მუქარის წერილიც, რომლის ტექსტსაც უცვლელად გაწვდით:

"ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ გაავრცელა განცხადება ჩვენს პოსტთან დაკავშირებით. ჩვენს პოსტში მოცემული იყო ინფორმაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით სარესტორნო მომსახურებაში საჯარო უწყებების მიერ დახარჯული თანხის შესახებ. მერიის განცხადება: ქუთაისის მერიის მიერ 2022 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით გაფორმებულია 27,000 ლარზე მეტის ღირებულების ხელშეკრულება. პოსტში გვეწერა, რომ ეს თანხა დაიხარჯა, რადგან ხელშეკრულებები უკვე გაფორმებულია. მერიამ დაგვიზუსტა, რომ ჯერ ხარჯვის პროცესში არიან და ბოლომდე არაა დახარჯული თანხა. ჩვენც გავასწორეთ პოსტი და დავწერეთ, რომ გამოყოფილია 27,000 ლარი. ეს დასტურდება შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ხელშეკრულებებით და რამდენიმე თვეში მერია ამ თანხას ითვისებს. ქუთაისის მერიას არ მოეწონა, რომ ყველაზე მეტი თანხა მათ აღმოაჩნდათ გამოყოფილი სარესტორნო მომსახურებისთვის და აპირებენ, რომ გვიჩივლონ ეთიკის ქარტიაში. გთხოვთ, გვიჩივლეთ და შემოდით ამ დისკუსიაში, ჩვენ ბევრი კითხვა გვექნება, გპირდებით. ძალიან კარგი იქნება თუ ქარტიის სხდომას საზოგადოებაც იხილავს".

ზემოთმოყვანილ წერილშიც კი "აი ფაქტი" არასწორ ინფორმაციას აქვეყნებს როცა მიუთითებს, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია სამ თვეში კვებაში აითვისებს 27 ათას ლარს. სინამდვილეში 27 ათასი ლარი გამოყოფილია 2022 წლის განმავლობაში ქალაქის სტუმრების მასპინძლობისათვის და იგი მოიცავს როგორც კვებით, ასევე სასტუმროთი მომსახურებას და შესაძლოა აღნიშნული თანხა წლის ბოლომდე შესაძლოა არ გაიხარჯოს. დღეის მდგომარეობით, მითითებული თანხიდან გახარჯულია 13440 ლარი, მათ შორის: 5922 ლარი წარმოადგენს ქორქია-საკანდელიძის საკალათბურთო ტურნირის ჩასატარებლად გაწეულ სასტუმროს და კვებითი მომსახურების ხარჯს; 3800 ლარი წარმოადგენს ყოველთვიური მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენების ფარგლებში მოწვეული სტუმრების სასტუმროსა და კვებითი მომსახურებისათვის გაწეულ ხარჯს; 522,20 ლარი წარმოადგენს კულტურის განვითარების სტრატეგიის სტრუქტურის ნიმუშის პრეზენტაციის გამართვასთან დაკავშირებით

განხორციელებულ საქართველოში EU4Culture პროექტის კოორდინატორის, პროექტის კომუნიკაციების მენეჯერის, პროექტის მობილობის მენეჯერის კვებითი მომსახურების ხარჯს, ხოლო 1271,80 ლარი წარმოადგენს ქალაქ ქუთაისში მეგობრული ვიზიტით ჩამობრძანებული იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, საელჩოს თანამშრომლებისა და სხვა ოფიციალური სტუმრებისათვის გაწეული კვებითი მომსახურების ხარჯს (იხ. მიღება-ჩაბარების აქტები).

"აი ფაქტმა" აღნიშნული ქმედებით დაარღვია ქარტიის პირველი და მე-11 პრინციპი, რომელთა თანახმად "ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია" და "ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება". მედია, პირველ რიგში, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების წყაროა და, შესაბამისად, აუდიტორიის უპირველესი მოთხოვნა ამ ინფორმაციის ზუსტად მიწოდებაა. ""აი ფაქტი"-ს მიერ ქუთაისის მერის მიმართ არასწორი ინფორმაციის გაჟღერებას სხვა დროსაც ჰქონდა ადგილი, კერძოდ

2021 წლის 16 ნოემბერს "აი ფაქტი"-მ გაავრცელა შემდეგი ინფორმაცია "ქუთაისის მერმა იოსებ ხახალეიშვილმა 12 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი ტურის შემდეგ, "ქართულ ოცნებას" 10 ათასი ლარი შესწირა. დეკლარაციის მიხედვით, იოსებ ხახალეიშვილის ყოველთვიური ხელფასი 1499 ლარია. გამოდის, წლევანდელი ანაზღაურების ნახევარზე მეტი, უკან, პარტიაში დააბრუნა". მითითებული ინფორმაცია არასწორია, კერძოდ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N24 დადგენილებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობრივი სარგო (ხელფასი) შეადგენდა 2750 ლარს თვეში. იოსებ ხახალეიშვილს 2020 წლის განმავლობაში, როგორც სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოაგილეს აღებული აქვს 24139 ლარი, ხოლო როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს - 1499,82 ლარი (იხ. დეკლარაცია). როგორც ვხედავთ "აი ფაქტი"-ს მიერ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მერის მიმართარასწორი ინფორმაციის განზრახ გავრცელებას არაერთხელ ჰქონდა ადგილი. განზრახ ცრუ ინფორმაციის გავრცელებით "აი ფაქტი" ცდილობს მოახდინოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისა და მერიის დისკრედიტაცია. გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან გთხოვთ, გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება “აი, ფაქტი” სცნოთ ქარტიის პირველი და მე-11 პრინციპების დამრღვევად და დაავალოთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა დამერისათვის საჯაროდ ბოდიშის მოხდა. იხ. ელ.ბმულები:

1. https://www.facebook.com/1267468489937737/posts/7527944537223403/;
2. https://infoimereti.ge/%e1%83%a5%e1%83%a3%e1%83%97%e1%83%90%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%90%e1%83%9b-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b-%e1%83%97%e1%83%95%e1%83%94%e1%83%a8/;
3. https://www.facebook.com/167521726645774/posts/5195937900470773/;
4. https://m.facebook.com/story.php?story_fbid=356240266548539&id=100064877043448 .

სხვა დანართ გადმოვაგზავნით ელ მისამართზე: ethicscharter@gmail.com

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები